დასკვნითი (მყარი) პრეზუმფციებისა და ფიქციების სამართლებრივი მნიშვნელობა

მაია სულხანიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

პრეზუმფციის სამართლებრივი ბუნება ძირითადად დაკავშირებულია პრეზუმფციაში მითითებული ფაქტის უარყოფასთან. უძველესი სიმართლის ძეგლის „თალმუდის" მიხედვით ის, რაც მიჩნეულია ჭეშმარიტად, ასეთად რჩება მანამ, ვიდრე არ მოიძებნება ახალი მტკიცება, რომელიც შეცვლის მას.[1] ნიშანდობლივია, რომ „თალმუდის" მიხედვით, პრეზუმფცია არ გულისხმობს უდავო, შეუცვლელ მოსაზრებას. მისი უარყოფა დასაშვებია, მაგრამ სხვა ახალი, უფრო მეტად დამაჯერებელი მტკიცებულების საფუძველზე. იგი ჭეშმარიტებად განიხილება მანამ, ვიდრე არ დაუპირისპირდება მისი არსებობის გამომრიცხავი დებულება. ასეთი დებულების გამოჩენის შემდეგ ის, რაც მანამდე ჭეშმარიტებად იყო მიჩნეული, არსებობას წყვეტს. პრეზუმფცია მითითებული სახით მოქმედებს არაერთი ქვეყნის უარყოფადი პრეზუმფციების სახით. ამ თვალსაზრისით მეტად საინესოა ამერიკელი მეცნიერის ჯეიმზ ბ. ზაიერის მიერ მის ნაშრომში „პრეზუმფციები და მტკიცების სამართალი" მოყვანილი მოსამართლე ჯეიმზ სტეფანის განმარტება პრეზუმფციის შესახებ. განმარტების მიხედვით, პრეზუმფცია ნიშნავს სამართლის ნორმას, რასაც სასამართლოები ან მოსამართლეები ქმნიან კონკრეტულ ფაქტებზე ან კონკრეტულ მტკიცებულებებზე გაკეთებული კონკრეტულ დასკვნებში, ვიდრე ამ დასკვნათა ჭეშმარიტება არ იქნება უარყოფილი.[2]

სამართალში ცნობილია ასევე პრეზუმფციის ერთ-ერთი სახე დასკვნითი პრეზუმფციები. მეცნიერთა დიდი ნაწილს, მათ შორის ზაიერის, ვიგმორისა და მორგანის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზუმფციის ეს სახე არ წარმოადგენს პრეზუმფციას, არამედ იგი არის მატერიალური სამართლებრივი ნორმა. აღნიშნულის თაობაზე უთითებს ჯორჯ ოლშუენი ნაშრომში „პრეზუმფცია, როგორც მტკიცებულება პასუხი". მითითებული ავტორი პრეზუმფციებს, როგორც სპეციფიკურ ფაქტებს ყოფს დასკვნით, უარყოფად, სამართლისა და ფაქტის პრეზუმფციებად. დასკვნით პრეზუმფციებთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ პრეზუმფციის ეს სახე უნდა ამოვშალოთ, რადგან მისი აზრით, პრეზუმფციის ეს სახე წარმოადგენს მატერიალურ სამართლებრივ ნორმას. უარყოფით და სამართლის პრეზუმფციებს კი, ერთსა და იმავე საგნის სხვადასხვა სახელწოდებად მიიჩნევს.[3]

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მყარი პრეზუმფციები ამოვარდნილია მტკიცებულებითი სამართლის თვალსაწიერიდან. ასეთი სახის პრეზუმფციები ხშირად მატერიალური სამართლის პრეზუმფციებია. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პრეიუდიციაც მყარი პრეზუმფციაა. მყარი პრეზუმფციები ძირითადად მოიხსენიება, როგორც დასკვნითი პრეზუმფციები. დასკვნითი პრეზუმფციების უარყოფა არ ხდება. კალიფორნიის მტკიცების კოდექსის 601ე მუხლში მითითებულია, რომ პრეზუმფციები არის უარყოფადი და დასკვნითი. კოდექსის ეს ნორმა არ მოიხსენიებს მყარ პრეზუმფციებს. იგი მას დასკვნით პრეზუმფციებს უწოდებს. ასეთი სახის პრეზუმფციებს ხშირად ფიქციებსაც ადარებენ.

მეტად საინტერესო მოსაზრებანი აქვს დასკვნით პრეზუმფციებთან მიმართებით მენგელს. დასკვნით პრეზუმფციას მენგელი განიხილავს როგორც პრეზუმფციას, რომელიც ითხოვს ფაქტის შემმოწმებლისაგან მოძებნოს პრეზუმირებული ფაქტი, როდესაც არსებობს ძირეული ფაქტი ანუ ძირეული ფაქტი პრეზუმირებული ფაქტის სამართლებრივი ეკვივალენტია და პირი, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია პრეზუმირებული ფაქტი, არ ცდილობს უარყოს მისი არსებობა.[4] ხშირად პრეზუმფციის ამ სახის მოქმედება შედარებულია ფიქციასთან.

[1] Franklin J, The science of conjecture, evidence and probability before Paskal, The hopkins University press, 2001, p-6.

[2] Thaier J Presumption and The Law of Evidence. James Harvard Law Review, vol 3, November 15, 1889, no 4, p-141.

[3] Olshausen G., Evidence: Presumption as evidence-a reply. California Law Reviw, volume 31/issue 3, p-316.

[4] Mengel E. C. Jr Conflicting presumptions: An Evlauation of the Solution Proposed by Uniform Rule Villanova University School of Law Digital Repository. Volume 10 | Issue 2 Article 7,1965, p-325.

უნდა ითქვას, რომ პრეზუმფციასა და ფიქციას მეტად განსხვავებული სამართლებრივი ბუნება გააჩნიათ და მათი გაიგივება შეუძლებელია.

ფიქცია ისეთივე უძველესი სამართლებრივი ტერმინია, როგორც პრეზუმფცია. ფიქცია უმეტესად განმარტებულია, როგორც წინასწარ მოფიქრებული დებულება, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, და მიუხედავად ამისა, მისი დაცვა ისევე სავალდებულოა, როგორც არსებული ჭეშმარიტებისა. ფიქციის მაგალითებს ვხვდებით რომის სამართლში, რომლის მიხედვით, თუ ნივთი შეძენილია კეთილსინდისიერად, მაგრამ აუცილებელი ფორმალობების დაცვის გარეშე, და თუ ხანდაზმულობის ვადა შეძენის მომენტისათვის გასული არ არის, სასამართლო ნამდვილად ცნობს დებულებას, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს იმის შესახებ, რომ მყიდველი ფლობდა ნივთს დადგენილი ხანდაზმულობის ვადაში.[5]

ფიქცია, სამართლის ლექსიკონის მიხედვით, განიმარტება, როგორც სამართლებრივი დაშვება ან ვარაუდი, იმის თაობაზე, რომ ის რაც არ არის ან შეიძლება, არ იყოს ჭეშმარიტება, ნამდვილია, ან რომელიც განმარტავს არსებულად ფაქტებს, რომელთაც რეალურად არასოდეს ჰქონიათ ადგილი. მრავალ სამოქალაქო საქმეზე განიმარტა (ე.წ. Hampshire Strafford Bank v. Cornell, 2 N.H.324; Hibberd v. Smith, 07 Cal. 547, 4 Pac.473, 56 Am.Rep.720), რომ ფიქცია არის სამართლის ნორმა, რომელიც სინამდვილედ მიიჩნევს და არ უშვებს უარყოფას იმისას, რაც არ არის ნამდვილი. ეს დაშვება ატარებს უდანაშაულობის ან სარგებლის მიღების ხასიათს და შექმნილია მსრთლმსაჯულების დასრულების მიზნებისათვის.[6]

როგორც იბენ მოულენი აღნიშნავს, სამართლებრივი ფიქცია არის მატერიალური ან საპროცესო სამართლებრივი სისტემასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც წარმოადგენს საქმის გადაწყვეტის მატერიალური წესს ან პრინციპს, რომელიც ეყრდნობა მთელ ან ნაწილობრივ ფაქტობრივ წანამძღვრებს, რომლებიც ფიქციის გამოყენების დროისათვის ცნობილია, როგორც არაჭეშმარიტება.[7]

ბევრი მსგავსება და განსხვავება არსებობს ფიქციასა და პრეზუმფციას შორის. ორივე მათგანი გამოიყენება საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით. ისინი, ისევე, როგორც პრეზუმფცია, გავლენას ახდენენ მტკიცების ტვირთზე, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქმის გადაწყვეტის დროს. მიუხედავად ამისა, ეს ორი ცნება წარმოადგენს განსხვავებულ სამართლებრივ კატეგორიებს და მათ განსხავავებული სამართლებრივი დატვირთვა აქვთ.

რუს მეცნიერ ა. დიდენკოს მოსაზრებით, ფიქცია და პრეზუმფცია თავისთავად წარმოადგენს სამართლებრივ კონსტრუქციას, რომელიც ნებას რთავს იურიდიულ ფაქტად მივიჩნიოთ საერთოდ არ არსებული ან სავარაუდო ფაქტი. როგორც იგი აღნიშნავს, ფიქციისა და პრეზუმფციის ნამდვილი დანიშნულების მორგება საკანონდებლო ტექნიკისათვის რთულია, მაგრამ მათი მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. მათი ღრმა მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ მათში იგრძნობა ცოცხალი სუნთქვა კერძო სამართლის პრინციპებისა.[8]

დიდენკოს მოყავს, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო სამართალში გამოყენებული შემთხვევები. ამის მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 51ე მუხლი. აღნიშნული ნორმა ეხება პირობით გარიგებებს. ნორმის თანახმად, თუ მხარეთა შორის არსებობდა პირობითი გარიგება და პირობის დადგომას ხელი შეუშალა მხარემ, რომელსაც ეს არ სურდა. ითვლება, რომ პირობა დამდგარია და პირიქით, თუ პირობის დადგომაზე არაკეთილსინდისიერად მოახდინა ზემოქმედება შედეგით დაინტერესებულმა მხარემ, მიიჩნევა, რომ პირობა არ დამდგარა. დიდენკო კანონმდებლის ნებას, ასახოს ფიქცია, გამოხატავს შემდეგი ფრაზით „დაე, ეს იყოს ასე, თუმცა ეს ასე არ არის".[9]

ზემოთ მითითებული ნორმის ანალოგიური შინაარსს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგრად ჩაითვლება. ამავე ნორმის მეორე ნაწილის მიხედვით კი, თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება. მითითებული მუხლი ფიქციის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.[10]

[5] http\\rgiis narod.ru\studyTheory\presumptio_fictio.htm.- Презумпция и фикция.

[6] *The Law Dictionary,thelawdictionary.org/legal-fiction/*

[7] Moglen E,Legal Fictions and Common Law Leg aTheory Some Historical Reflections, Tel- Aviv University Studies in Law August 14, 1989, p-2.

[8] Диденко А.Г, Фикции и презумпции в гражданском праве.*online.zakon.kz/Document/*

[9] *Диденко А.Г, Фикции и презумпции в гражданском праве.*online.zakon.kz/Document/

[10] *Диденко А.Г, Фикции и презумпции в гражданском праве.*online.zakon.kz/Document/

გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვხვდებით არაერთ სამართლის ნორმას, რომელშიც ასახულია სხვადასხვა სახის ფიქციები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგანი მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა არ აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, კრედიტორის მოთხოვნა მაინც დაკმაყოფილებულად ითვლება. ანალოგიური შინაარსისაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილი და 301-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილი. აღნიშნული ნორმებიდან მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლისას, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევებშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არა არის გათვალისწინებული.

ორივე ზემოთ განხილულ შემთხვევაში, ცხადია, რომ კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის. მან მიიღო უფრო ნაკლები ღირებულების ნივთი, ვიდრე მას გააჩნდა მოთხოვნა, ასევე ნივთის რეალიზაციით მიღებულმა თანხამ ვერ დაფარა მისდამი არსებული ვალი. მიუხედავად ამისა, კანონი კრედიტორს დაკმაყოფილებულად მიიჩნევს. კანონი არსებულად თვლის იმას, რაც სინამვილეში არ ყოფილა და არც არასოდეს იქნება მომავალში. ეს არის ფიქციის სამართლებრივი ბუნება, რაც არარსებულს წარმოაჩენს როგორც სინამვილეს და მას სავალდებულო ძალას ანიჭებს.

აღნიშნული ფაქტორი მკაცრად მიჯნავს პრეზუმფციისა და ფიქციის სამართლებრივ არსს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ფიქცია შეიძლება, არსებობდეს მხოლოდ სამართლებრივი ნორმის სახით. იგი ასევე გამორიცხავს ფიქციის შემცველი სამართლებრივ ნორმაში ასახული ფაქტის რეალობაში არსებობის ფაქტს. აღნიშნულით იგი განსხვავდება პრეზუმფციისაგან, რომელიც ასახვს ვარაუდებსა თუ დასკვნებს, რომელიც დაკავშირებულია მასში ასახული ფაქტების რეალობაში არსებობის დიდ ალბათობასთან. პრეზუმფცია გამომდინარეობს იმისაგან, რაც ბუნებაში ხდება არაერთხელ, განმეორებით და მრავალჯერ. პრეზუმფციაში ასახულ დასკვნებს აქვთ რეალობაში არსებობის დიდი შესაძლებლობა. ასეთი გარემოების შესახებ გაკეთებულ დასკვნების არსებობის განმაპირობებელი ფაქტორების მოქმედებისას ვიყენებთ ამ გარემოებების თაობაზე გაკეთებულ დასკვნებს.

პრეზუმფციასა და ფიქციის განმასხვავებელ თვისებებს აღწერს ლოუნ ფულერიც. როგორც აღნიშნავს, განსხვავება ძირითადად ფიქციასა და სამართლის პრეზუმფციებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ფიქცია უშვებს ისეთი დებულებების არსებობას, რომელიც ცნობილია, როგორც არარსებული. პრეზუმფცია კი უშვებს იმას, რაც არის ან შესაძლოა რომ იყოს ნამდვილი.[11] შეუძლებელია, არ აღინიშნოს ისიც, რომ ფიქციის მოქმედება, მსგავსად პრეზუმფციისა, დაკავშირებულია მტკიცების ტვირთთან. იგი ერთი ფაქტის მტკიცების ტვირთს ცვლის მეორეთი. ამასთან, ფიქციაში მითითებული დასკვნების გაქარწყლება შეუძლებელია და მას მოქმედების სავალდებულო ძალა გააჩნია. ამ თვალსაზრისით იგი ჰგავს დასკვნით პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფაც შეუძლებელია.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია იმ მსგავსებების უარყოფა, რაც არსებობს პრეზუმფიციასა და ფიქციას შორის. ორივე მათგანი შეიცავს დასკვნებს გარკვეული გარემოებების შესახებ, ორივე მათგანის მოქმედება დაკავშირებულია მტკიცების ტვირთთან და ორივე მოქმედებს დავის გადაწყვეტის შედეგებზე. განსხვავებით პრეზუმფციისაგან, ფიქციის უარყოფა დაუშვებელია. ფიქცია ასევე ასახავს ფაქტებს, რომელთაც სინამდვილეში არ ჰქონია ადგილი და შეიძლება, არც არასოდეს ჰქონდეს. აღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით არასწორად მიგვაჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც საჯარო რეესტრის პრეზუმფცია მიჩნეულია ფიქციად (სუსგ ას3943732013, სუსგ ას160115092012). სამოქა-

[11] Fuller Lon L, Legal Fictions Stanford University Press, Jan 1, 1967, p-40.

ლაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უშვებს პრეზუმფციის უარყოფის შესაძლებლობას, რაც თავისთავად გამორიცხავს ფიქციის არსებობას. რაც შეეხება ნორმის მეორე ნაწილში მითითებულ პრეზუმფციას, იგი დასკვნითი (მყარი) პრეზუმფციაა და მისი უარყოფა დაუშვებელია. მიუხედავად ამისა, იგი არ წარმოადგენს ფიქციას, რადგან ფიქციისაგან განსხვავებით, მისი რეალობაში არსებობის ფაქტის გამორიცხვა შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დასკვნითი პრეზუმფცია და ფიქცია, მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, წარმოადგენს განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს. თითოეულ მათგანს მკაფიოდ გამოხატული დანიშნულება აქვთ. ორივე მათგანი მონაწილეობს მტკიცების პროცესში იმგვარად, რომ მათი უარყოფა არ ხდება. მიუხედავად ამისა, ფიქციაში ასახული გარემოებები მოკლებულია რეალობას, პრეზუმფციაში მითითებული გარემოებები გამომდინარეობს ალბათობის მაღალი დონის მოვლენებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Franklin J, The science of conjecture, evidence and probability before Paskal, The hopkins University press, 2001
2. Thaier J Presumption and The Law of Evidence. James Harvard Law Review, vol 3, November 15, 1889, no 4, p141
3. Olshausen G., Evidence:Presumption as evidencea reply. California Law Reviw, volume 31/issue 3
4. Mengel E. C. Jr Conflicting presumptions: An Evaluation of the Solution Proposed by Uniform Rule Villanova University School of Law Digital Repository. Volume 10 | Issue 2 Article 7,1965
5. http\\rgiis narod.ru\studyTheory\presumptio_fictio.htm.Презумпция и фикция
6. *The Law Dictionary,thelawdictionary.org/legalfiction/*
7. Moglen E,Legal Fictions and Common Law Leg aTheory Some Historical Reflections, Tel Aviv University Studies in Law August 14, 1989
8. Fuller Lon L ,Legal Fictions Stanford University Press, Jan 1, 1967
9. Диденко А.Г, Фикции и презумпции в гражданском праве.*online.zakon.kz/Document/*

ЮРИДИЧЕСКАЯ ЦЕННОСТЬ ФИНАЛА ПРЕДПОЛОЖЕНИЯ И ФИКЦИИ

МАИЯ СУЛХАНИШВИЛИ - докторант ГТУ

Фикции представляют собой правовые институты, которие позволяют признавать юридическими фактами вовсе не существующие факты, а презумпции вероятно существующие факты. В етом главная розница между данными средствами и понятиями. Однако подлинное предназначение фикций и не просто не сводится к законодательной технике, важность которой в их содержании отрицать, безусловно, нельзя. Исползование этих институов связанно с юридической экономии и упрощения процесса доказывания.

Их значение состоит в том, что они участвуют в процессе доказиваниию таким образом, что они освабаждают сторон от доказиваниия фактами даннимиии в фикциах и презумпциях.

THE LEGAL VALUE OF FINAL (SOLID) PRESUMPTIONS AND FICTIONS

MAIA SULKHANISHVILI - PhD student of GTU

The fiction is an assumption or supposition of law that something which is or may be false is true, or that a state of facts existswhich has never really taken place. A fiction is a rule of law which assumes as true and will not allow to be disproved, something which is false, but not impossible. Presumption is a legal inference as to existence or truth of a fact not certainly known from the known or proved existence of some other fact. Those are main differences between presumption and fiction.

Fiction and presumption shift the burden of proof. They dismiss the parties of proving the facts which are drown in fiction and presumption.